საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს „G.“-ის დირექტორი ი. მ.

წარმომადგენელი - ზ. ლ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.05.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 060/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიმართ /სიითი №1/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შპს „G.“-ის დირექტორმა ი. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ვ. ჩ. არის შპს „ა. ჯ.-ს“, შპს „G.“-ს პარტნიორების ს. მ.-ს (16,5%) და ფ. მ.-ს (16,5%) წარმომადგენელი რამდენიმე სამოქალაქო დავაში, რომელიც მიმდინარეობს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში შპს „G.“-ისა და საზოგადოების დომინანტი პარტნიორისა და დირექტორის ი. მ-ს წინააღმდეგ.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ვ. ჩ.-მ საჯარო რეესტრში წარადგინა განცხადება შპს „G.“-ის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის მიზნით, რასაც დაურთო პარტნიორთა კრების ოქმი ი. მ-ს საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. თუმცა, პარტნიორთა კრებაზე არ იყო მიწვეული და შესაბამისად მონაწილეობა არ მიუღია კომპანიის 67%-ის მფლობელ პარტნიორს ი. მ-ს. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ვარაუდით კრება არ ჩატარებულა, თუმცა კრების ოქმს ხელს აწერს ადვოკატი ვ. ჩ., როგორც შპს „G.“-ის ერთ-ერთი მეწილის ს. მ.ს წარმომადგენელი.

1.4 საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატმა ვ. ჩ.-მ საჯარო რეესტრში წარდგენილ განცხადებას არ დაურთო კომპანიის პარტნიორის ს. მ.ს მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა და მან საჯარო რეესტრში წარდგენილ განცხადებას დაურთო კრების ოქმი, რომლითაც პარტნიორთა კრებას არ ჰქონდა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რის გამოც საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არ დააკმაყოფილა წარდგენილი განცხადება და ხარვეზი დაუდგინა მას.

1.5 საჩივრის ავტორმა 2020 წლის 05 ოქტომბერს გამართულ განხილვის სხდომაზე მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ პრეტენზიებს ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიმართ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 15 და 28 მაისს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ადვოკატი ვ. ჩ. აღშნიშნავს, რომ შპს „G.“-ის საჩივარი არის უსაფუძვლო და ის არ უნდა დაკმაყოფილდეს. აღნიშნული პოზიცია დააფიქსირა ადვოკატმა, როგორც საპროცესო ასევე განხილვის კოლეგიის სხდომებზე.

2.2 ადვოკატის განცხადებით ის წარმოადგენს ს. მ.-სა და ფ. მ.-ს, როგორც ფიზიკური პირების, ასევე როგორც შპს „G.“-ის პარტნიორების ინტერესებს. მარწმუნებელთა დავალებით და მინიჭებული რწმუნებულების ფარგლებში, ადვოკატმა მარწმუნებლის სახელით წარადგინა განცხადება სამეწარმეო რეესტრში სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციის მიზნით. ადვოკატმა განცხადებას დაურთო კრების ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერა ადვოკატმა ვ. ჩ.-მ, როგორც ერთ-ერთი პარტნიორის ს. მ.-ს წარმომადგენელმა, რადგან თავად პარტნიორი არ ესწრებოდა კრებას. ადვოკატ ვ. ჩ.-ს განმარტებით მას პარტნიორებისგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ შპს „G.“-ის 67% წილის მფლობელი პარტნიორი ი. მ. ინფორმირებული იყო კრების თარიღის შესახებ, თუმცა კრებაზე ის არ გამოცხადდა. პარტნიორთა კრების ოქმი არ შეადგინა ადვოკატმა ვ. ჩ.-მ, მან განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომელსაც დაურთო შპს „G.“-ის პარტნიორთა კრების ოქმი. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ხარვეზი დაადგინა განცხადებაზე და ადვოკატმა კი აღარ მიმართა ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან განუმარტა კლიენტს, რომ საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში განცხადების წარდგენას არ მოჰყვებოდა სამართლებრივი საფუძველი, მაგრამ

კლიენტის მოთხოვნა იყო კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე ადვოკატს დაეფიქსირებინა მისი ხელმოწერა, ხოლო შემდეგ გადაწყვეტილების საფუძველზე განცხადების წარდგენის გზით მოეთხოვა სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან შეასრულა კლიენტის დავალება, თუმცა ამ მოქმედებას არ მოჰყვა სამართლებრივი შედეგი და როგორც კომპანიას, ასევე მის დირექტორს ი. მ-ს რაიმე სახის ზიანი არ მიადგათ.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2020 წლის 28 თებერვალს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატმა ვ. ჩ.-მ კლიენტის მითითებით დადო კანონსაწინააღმდეგო გარიგება და შემდგომ ის წარადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით.

3.3 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი, თუნდაც კლიენტის მითითებების საფუძველზე დებს კანონსაწინააღმდეგო გარიგებას, ამით არღვევს კანონიერების პრინციპს, რაც განსაზღვრულია კანონის 6.1 და აპეკ-ის 5 მუხლებში.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 შპს „G.“-ს პარტნიორები არიან ი. მ., ს. მ.(16,5%) და ფ. მ. (16,5%), ხოლო კომპანიის დირექტორია ი. მ. ().

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტებები;
- 08/07/2019 წლის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერს.

4.2 2019 წლის 04 აპრილს შპს „G.“-ის პარტნიორთა კრებას ესწრებოდნენ შპს „G.“-ის 16.5%-ის მფლობელი პარტნიორი ს. მ.-ს წარმომადგენელი ვ. ჩ. და შპს „G.“-ის 16.5%-ის მფლობელი პარტნიორის ფ. მ.-ს წარმომადგენელი ა. გ.. დღის წესრიგით განისაზღვრა შპს „G.“-ის მოქმედი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება და ახალი დირექტორის დანიშვნა. პარტნიორების ხმათა უმრავლესობით კრებამ დაადგინა შემდეგი: შპს „G.“-ის მოქმედი დირექტორი ი. მ. თანამდებობასთან და პროფესიული უნარ-ჩვევებთან შეუსაბამისობის გამო განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან 04.04.2019 წლიდან და ახალ დირექტორად

დაინიშნოს ს. მ.. პარტნიორთა კრების ოქმს ხელს აწერს ს. მ.-ს წარმომადგენელი ვ. ჩ. და ფ. მ.-ს წარმომადგენელი ა. გ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტებებწ;
- 2019 წლის 04 აპრილს შპს „G.“-ის პარტნიორთა კრების ოქმს NX/4-19,

4.3 2019 წლის 4 აპრილს ადვოკატმა ვ. ჩ.-მ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა განცხადებით სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მიზნით. განცხადებასთან ერთად წარადგინა თანდართული დოკუმენტაცია - უმრავი ნივთის მესაკუთრის სათანადო ფორმით შედგენილი თანხმობა; წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და კრების ოქმი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა 05.04.2019 წლის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს გადაწყვეტილებას #BX3/4

4.4 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 05 აპრილის გადაწყვეტილებით ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ წარდგენილ განცხადებაზე შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგისტრაციის პირობებს, კერძოდ: წარდგენილი იყო 04.04.2019 წლის პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმი NX/4-19, რომლის თანახმადაც, საწარმოს დირექტორობიდან თავისუფლდება ი. მ. და დირექტორად ინიშნება ს. მ.. კრებას ესწრებოდა 33%-იანი წილის მესაკუთრე პარტნიორების მინდობილი პირები, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, თუ ამ კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). შესაბამისად, წარმოსადგენი იყო გადაწყვეტილებაუნარიანი პარტნიორთა კრების მიერ მიღებული, სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული, გადაწყვეტილება დირექტორის ცვლილების თაობაზე. ასევე ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით გადაწყვეტილებით უფლებამოსილ პირს განესაზღვრა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და სათანადო წესით დამოწმებული, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა. დადგენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად განისაზღვრა - 30 კალენდარული დღე.

განხილვის კოლეგია შემდეგ მტკიცებულებებს:

- *საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 05.04.2019 წლის გადაწყვეტილებას #BX3/4;*
- *საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 07.04.2019 წლის გადაწყვეტილებას #BX3/5*

4.5 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ჩ.-ს მიერ წარდგენილ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში არ იქნა წარდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით გადაწყვეტილება #BX3/4-ით დადგენილი დოკუმენტაცია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 07.05.2019 წლის გადაწყვეტილებას #BX3/5.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. ჩ.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ვ. ჩ.-მ დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული მუხლები:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლი: *„ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.*

აპეკ-ის მე-5 მუხლი: *„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“.*

6.2 ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა განახორციელოს ყველა შესაძლო კანონიერი საშუალებით და არ უნდა გადაუხვიოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, თუნდაც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

6.3 საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ ადვოკატმა ვ. ჩ.-მ ხელი მოაწერა კანონდარღვევით შედგენილ პარტნიორთა კრების ოქმს, ხოლო შემდეგ ასეთი დოკუმენტი წარადგინა საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში, ადვოკატი პასუხობს, რომ კრების ოქმზე ხელმოწერა და შემდგომში საჯარო რეეტროს ეროვნულ სააგენტოში მისი წარდგენა იყო კლიენტის დავალება, რომელიც მან შეასრულა. ადვოკატს კლიენტისთვის განმარტებული ჰქონდა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები და ადვოკატის მოქმედებები ორიენტირებული იყო კლიენტზე და მისი დავალებების შესრულებაზე.

6.4 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტის ინტერესების დაცვის დროს ადვოკატი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერების პრინციპით, რომელიც მოიცავს კლიენტის წინაშე

აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებას და მის დაცვას.

6.5 ადვოკატი ვ. ჩ. მოქმედებდა კლიენტის მითითებების შესაბამისად. კლიენტის დავალება მოიცავდა შპს „G.“-ის პარტნიორთა კრების ოქმზე კლიენტის სახელით ხელმოწერას და აღნიშნული ოქმის საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენას. როგორც ერთი, ასევე მეორე მოქმედება არ არის აკრძალული კანონმდებლობით, თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მოთხოვნები პარტნიორთა საერთო კრების ჩატარებისა და ოქმის შედგენის წესის შესახებ, ხოლო „საჯარო რეეტრის შესახებ“ კანონის მიხედვით განსაზღვულია მოთხოვნები სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის განხორციელების შესახებ. შესაბამისად, საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში განცხადების წარდგენა უნდა აკმაყოფილებდეს „საჯარო რეეტრის შესახებ“ კანონით დადგენილ წინაპირობებს. ხოლო, არასათანადოდ შედგენილი დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის შემთხვევაში, სააგენტოს აქვს უფლება იმსჯელოს შეესაბამება თუ არა წარდგენილი დოკუმენტაცია ნორმით გათვალისწინებულ კონსტრუქციას. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაციით არ მიიღწევა წარდგენილი მოთხოვნა, ეს არ ნიშნავს, რომ სახეზეა უკანონო მოქმედება, ეს ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

6.6 მოცემულ შემთხვევაში, ვ. ჩ.-ს მიერ წარდგენილი განცხადება არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მას არ ჰქონდა საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი გადაწყვეტილებაუნარიანი პარტნიორთა კრების მიერ მიღებული, სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული, გადაწყვეტილება (კრების ოქმი) დირექტორის ცვლილების თაობაზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და სათანადო წესით დამოწმებული, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.7 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ არ არსეობს ადვოკატ ვ. ჩ.-ს მოქმედებებში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, ვინაიდან ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის დავალების ფარგლებში, აცნობიერებდა დავალებით განსაზღვრული სავარაუდო შედეგებს, რაზედაც ინფორმირებული ჰყავდა კლიენტი. არასათანადოდ შედგენილ პარტნიორთა კრების ოქმზე ხელმოწერა და მისი საჯარო რეეტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენა არის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა, რომელზეც რეაგირება უნდა მოახდინოს კომპეტენტურმა ორგანომ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმით. კანონით გათვალისწინებული წინაპირობების დაუცველობა არ გულისხმობს ქმედების უკანონობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ზიანის დადგომა. ადვოკატ ვ. ჩ.-ს მხრიდან განხორციელებული მოქმედებებით არ დადგა მისი კლიენტისთვის სასურველი შედეგი და ასევე ზიანი არ მიადგა კომპანიას ან/და მის პარტნიორებს.

6.8 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არ დგინდება ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ კანონიერების პრინციპის დარღვევა, რის გამოც არ არსებობს ადვოკატ ვ. ჩ.-ს მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №060/19 ადვოკატ ვ. ჩ.-ს /სიითი №1/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/